ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲔᲗ!

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ,

9 თებერვალი, 1961 წ.

№ 18 (1654)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲥᲛᲔ

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

დაიხურა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, თათბირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობა თვალსაჩინო მოვლენა იყო საბჭოთა ამიერკავკასიის ყველაზ მშრომელის ცხოვრებაში.

თათბირი მიმდინარეობდა მაღალი საქმიანობის, გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში. მან ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი შეკავშირება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

7 თებერვალს თათბირზე გრძელდებოდა განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. ი. ახუნდოვისა და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ი. ნ. ზარობიანის მოხსენებებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგების და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: სომხეთის სსრ არტაშატის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. გრიგორიანი,** აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **დ. ჰუსეინოვი,** საქართველოს სსრ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ნ. უოჩიაშვილი,** ერევნის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ოპერატიული ქირურგიის კათედრის გამგე **ა. ბაიბურთიანი,** აზერბაიჯანის სსრ მასალის რაიონის კოლმეურნეობა „1 მაისის“ თავმჯდომარე **ს. ბრიზვალინი,** საქართველოს სსრ ცაგერის რაიონის სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობის ბრიგადირი **კ. სანდუხაძე,** სომხეთის სსრ ნოემბერიანის მერძეველობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ლ. ჩილინგარიანი,** აზერბაიჯანის მებამბეობის ინსტიტუტის სელექციონერი **ი. ველიევი,** საქართველოს კომპარტიის თერი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ა. ბექაური,** სომხეთის სსრ შაუმიანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი **ა. ავეტისიანი,** აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **მ. ალი-ზადე,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ნ. ხომიზურაშვილი,** სომხეთის კომპარტიის ახურიანის რაიკომის პირველი მდივანი **კ. მოვსესიანი,** აზერბაიჯანის სსრ ყაზახის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი **ა. ჯაფაროვი,** საქართველოს ალკკ გურჯაანის რაიკომის მდივანი **ნ. გურგენიძე.**

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეძ ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც დამსწრენი განსაკუთრებული გულთბილობით და გულითადობით შეხვდნენ. ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო სიტყვა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

თათბირმა მიიღო მიმართვა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ყველა კოლმეურნისადმი, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებისადმი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ყველა მუშაკისადმი. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია: „პირობას ვაძლევთ ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ კიდევ უფრო მაღლა ავწევთ შვიდწლედის მესამე წლის უხვი მოსავლისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დიად დროშას, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულებთ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურსა და რაიონში და ამით ღირსეულად შევხვდებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ XXII ყრილობას“.

თათბირის მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა ამით დაამთავრა მუშაობა (საქდესი).



ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

მოსკოვის საწყლოსნო სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის 1961 წლის პირველობა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ქალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა მოსკოველმა ვ. კლინჩემკომ („სპარტაკი“), რომელმაც დააგროვა 124,34 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ე. კულაკოვა („ბურევესტნიკი“, მოსკოვი) — 114,43 და ე. კოსოლაპოვა („დინამო“, მოსკოვის ოლქი) — 113,43.

ᲕᲘᲜ ᲬᲐᲕᲐ ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ

ორი თვის შემდეგ პეკინში გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც სხვა ქვეყნების უძლიერეს გუნდებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სპორტსმენები.

ამიტომ იყო, რომ ამას წინათ ბაქოში მოწყობილი სსრ კავშირის 1961 წლის პირველობა ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო, რომელსაც უნდა გამოვლინებინა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ მსოფლიო პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 19 უძლიერესი ოსტატი.

ერთეულთა შორის დიდი წარმატება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონმა ვილნიუსელმა ქირურგმა ა. საუნორისმა. მეორე ადგილზე გამოვიდა კიშინიოველი გ. გრინბერგი, მესამეზე — გასული წლის ჩემპიონი მოსკოველი გ. ავერინი. ქალთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ვილნიუსელი სტუდენტი ნ. რამანაუსკაიტე, ვერცხლის მედალი მოიპოვა ტალინელმა ს. პაისიარვმა, ბრინჯაოსი — 16 წლის რიგელმა მოსწავლემ დ. ლუკინამ.

Ბ. ᲞᲝᲚᲣᲚᲘᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ნი. ამ ორმა ახალგაზრდა სპორტსმენმა გაუსწრო გამოცდილ მხტომელებს ი. კაზაკოვსა და ვ. ჩერნიშოვს. წარუმატებლად გამოვიდა თბილისელი ბ. პოლულიახი, რომელიც ნახევარფინალური ხტომების წინ მხოლოდ მე-11 ადგილზე იყო.

დასკვნითს ნაწილში შეჯიბრების ლიდერმა რ. ბრენერმა რამდენიმე ნახტომი სუსტად შეასრულა, სამაგიეროდ, შესანიშნავი იყო ვ. ჩერნიშოვის, ბ. პოლულიახისა და ი. მელნიკოვის ნახტომები, რომლებმაც ასეთივე თანმიმდევრობით დაიკავეს საპრიზო ადგილები. აღსანიშნავია, რომ თბილისელი სპორტსმენი გამარჯვებულს ჩამორჩა მხოლოდ 0,85 ქულით. ი. მელნიკოვის შედეგია 131.06 ქულა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖ: ბ. პოლულიახი ხტომის დროს.

ᲮᲕᲐᲚ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲐ

XXVIII ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრებში შესამჩნევად დაწინაურდა ტ. პეტროსიანი, რომელიც ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი იყო. XVII ტურში მან იშვიათი სიძლიერით ჩაატარა პარტია ტაიმანოვთან. საინტერესოა, რომ ამ ორი გროსმაისტერის შეხვედრები იშვიათად მთავრდება ფაიმით. იმარჯვებს ხან ერთი, ხან მეორე. ძირითადად ის, ვინც თამაშობს თვთრებით. გროსმაისტერებს არც ამჯერად უღალატიათ თავიანთი „ტრადიციისათვის“. პეტროსიანმა ცენტრში ენერგიული თამაშით გარკვეულ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. ტაიმანოვმა პაიკის შეწირვით სცადა დაცვის მოწესრიგება, მაგრამ პეტროსიანმა მიიღო შეწირვა და მძიმე ფიგურებით შეიჭრა ლენინგრადელი გროსმაისტერის განლაგებაში. პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა, მაგრამ პეტროსიანის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. მან გუშინ მოიგო კიდეც იგი.

XVII ტურში გელერის დამარცხებამ და XVIII ტურში სპასკის წაგებამ, პეტროსიანს გზა გაუხსნა ჩემპიონობისაკენ. ამიტომ XVIII ტურში მოსკოველი გროსმაისტერი ყაიმით დაკმაყოფილდა ბორისენკოსთან.

მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. კორჩნოიმ დაამარცხა ბრონშტეინი, სპასკიმ — ბანიკი, ტარასოვმა—სიმაგინი. ყაიმზე შეთანხმდნენ ბანიკი-ბრონშტეინი, ავერბახი-ჩერეპკოვი, ხასინი-შტეინი, პოლუგაევსკი-ბანიკი.

უკანასკნელი ტურის წინ პეტროსიანს აქვს 13 ქულა, კორჩნოის — 12, გელერს — 11,5, სპასკისა და შტეინს — 11-11 თვითეულს, სმისლოვსა და პოლუგაევსკის — 10,5 თვითეულს, ავერბახს — 10 ქულა.

ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება საკითხი, თუ ვინ მოხვდება ოთხეულში პეტროსიანის გარდა. შანსები აქვთ გელერს, სპასკის, სმისლოვს, შტეინსა და პოლუგაევსკის. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე მოჭადრაკემ გაიყო მეოთხე ადგილი, მათ შორის დაინიშნება დამატებითი მატჩი ან მატჩ-ტურნირი.

დღეს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ. ხვალ გაიმართება ჩემპიონატის უკანასკნელი ტური.

28 თებერვალს ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ VII ᲙᲚᲔᲜᲨᲘ.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ:

1. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ, ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

2. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲫᲚᲝᲣᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

დასაწყისი 12 საათზე.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ჩამოსვლამ საქართველოში, მისმა საუბრებმა ქართველ კოლმეურნეებთან უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში. კერძოდ, ამ ნიშნით ჩატარდა სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და ფიზკულტურის კოლექტივების გაერთიანებული კრება. როგორც ცნობილია, ძველი ანაგის კოლმეურნე ფიზკულტურელებმა საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საპატიო სიგელი დაიმსახურეს კარგი მუშაობისათვის. გაერთიანებულ კრებაზე ეს სიგელი საზეიმო ვითარებაში გადასცა ძირეულ-ფიზკულტურულ კოლექტივს სიღნაღის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ მ. ყაჭრიშვილმა. შემდეგ სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეებმა და ფიზკულტურელებმა ახალი, გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს არა მარტო ფიზკულტურასა და სპორტში, არამედ საკოლმეურნეო შრომაშიც.

კერძოდ, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის წევრებმა, მექანიზატორებმა, რომლებიც მე-2 სატრაქტორო ბრიგადაში არიან გაერთიანებულნი, ივალდებულეს მოხნან 5.000 ჰექტარი მიწა რბილ ხვნაზე გადაყვანით, ჩადონ 3.000 ტონა სილოსი; მეფრინველე სპორტსმენმა



გოგონებმა ვალდებულება იკისრეს თვითეული კვერცხისმდებელი დედლიდან მიიღონ 100 კვერცხი, ხოლო მწველავებმა — წელიწადში ყოველი ძროხიდან მიიღონ 2.000 ლიტრი რძე.

კრებაზე მიღებულ იქნა აგრეთვე ინიციატივა — მეცხოველეობის ფერმაში დამხმარეებად გაიგზავნოს 20 ახალგაზრდა ფიზკულტურელი, ხოლო ყველა იმ კოლექტივის წევრის შრომითი მაჩვენებლები, რომლებიც ჩაბმულნი არიან სპორტულ სექციებში, 1961 წელს გაზრდილ იქნას 100.000 შრომადღემდე.

გაზრდილი ვალდებულებები იქნა აღებული სოფლად ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის მიზნით. ამ ვალდებულებათა მიხედვით ძველი ანაგის კოლმეურნეობის ფიზკულტურელთა რიცხვი გაიზრდება 300 კაცამდე, სპორტულ სექციებში ჩაებმება ყველა კომკავშირელი, მოეწყობა ფეხბურთის ახალი მოედანი სარბენი ბილიკებით და სახტომი ორმოთი; ფიზკულტურული კოლექტივის ცხოვრებაში დაინერგება სპორტის 8 სახეობა, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ იგი 12-ს მიაღწევს.

მიღებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი ვალდებულებანი, რომელთა მიზანია კოლმეურნეობის ფიზკულტურული და სპორტული მაჩვენებლების კიდევ უფრო მკვეთრი გაზრდა.

ნ. მღებრიევა

სპორტული ჭორნიკა

მახარაძეში ჩატარდა რაიონის საშუალო სკოლების პირველობა კალათბურთსა და ფრენბურთში.

კალათბურთში პირველობას ერთმანეთს ედავებოდა 14 საშუალო სკოლის გუნდი. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სოფ. გურიანთის მოსწავლეთა გუნდმა, ხოლო ფრენბურთში მახარაძის რუსული საშუალო სკოლის გოგონათა გუნდმა.

ო. კიშინსკი

* * *

მეტეხის აგურის ქარხანაში თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა მოჭადრაკეთა პირველობა, რომელშიც 20 სპორტსმენი მონაწილეობდა. პირველი ადგილი დაიკავა საგამოწვო საამქროს ცვლის უფროსმა რ. არაქელოვმა. მეორე ადგილი წილად ხვდა ო. გორგიშვილს.

ბ. კიკაჩეიშვილი

* * *

წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის საშუალო სკოლაში სამ დღეს მიმდინარეობდა გუნდური პირველობა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი და შაში.

პირველი ადგილი დაიკავეს და სკოლის თასი გადაეცათ მეცხრე კლასის მოსწავლეებს.

ა. მოთიაშვილი

„კოლმეურნის“ ჩემპიონები

ამას წინათ მახარაძეში თავი მოიყარეს საქართველოს სოფლის უძლიერესმა მოჭადრაკეებმა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ჩემპიონის გამოსავლინებლად.

მახარაძის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, გორის, მარნეულის, წალკის, და სხვა რაიონების 20 მოჭადრაკე შეეიცარული სისტემით შეუდგა ბრძოლას. ტურნირში გათამაშდა მხოლოდ შვიდი ტური. 5,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა მახარაძელმა რ. ჭყონიამ, რომელმაც ოთხი პარტია მოიგო და სამი ყაიმით დაამთავრა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს სოფელ ქვედა ბახვის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა პ. თენიეშვილმა და ახალქალაქელმა პირველთანრიგოსანმა ა. კეროპიანმა — 4,5 ქულა თვითეულს.

მოჭადრაკე ქალთა ტურნირში ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდა 6 სპორტსმენი. წარუმატებლად გამოვიდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სოფლის მოჭადრაკე ქალთა გასული წლის ჩემპიონი ო. შათირიშვილი, რომელმაც მეორე-მესამე ადგილები გაიყო მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელ ი. გველესიანთან, ჩემპიონის სახელი კი დაისაკუთრა სამგორის რაიონის ავჭალის რესული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა მ. მალინინამ.

ტურნირების პერიოდში მახარაძის რაიონის ახლო მდებარე სოფლებში ზვაში, ძიმითში გაიმართა ლექციები საჭადრაკო თემაზე, მოეწყო ერთდროული თამაშის სეანსები. ასეთივე ღონისძიებები ჩატარდა მახარაძის რუსულ საშუალო სკოლაში, აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში.

* * *

7 თებერვალს ტაჯიკეთის მოსკოვის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლში დაიწყო საბჭოთა კავშირის სოფლის მოჭადრაკეთა 1961 წლის პირველობა. საქართველოდან ტურნირში მონაწილეობენ ვ. მალინინა და ს. მეგრელაშვილი, რომელმაც შეცვალა ავადგამხდარი რ. ჭყონია.

ხ. გუგუნავა



ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ

სექციები ჩაებარეს. მის ირგვლივ სულ მალე შეიკრიბა სოფლის 40 მოჭიდავისაგან შემდგარი ჯგუფი. მიუხედავად მცირე დროისა, გულისხმიერმა მწვრთნელმა უკვე მოამზადა თავისი ჯგუფიდან ერთი პირველთანრიგოსანი, სამი მეორეთანრიგოსანი და ხუთი მესამეთანრიგოსანი კლასიკურ ჭიდაობაში, ხოლო თავისუფალში — ოთხი მეორეთანრიგოსანი და ოთხი მესამეთანრიგოსანი. ამას გარდა, 13-მა ნორჩმა მოჭიდავემ შეასრულა მოზარდთა თანრიგის ნორმები.

ენთუზიასტი მწვრთნელის აღზრდილებმა საქართველოს პირველობაზე ჭაბუკთა შორის საკმაოდ კარგი ადგილები დაიკავეს როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში.

დღეს უკვე ყველა იცნობს ა. ჩუთლაშვილს ლაგოდეხის რაიონში, სადაც იგი მწვრთნელის მოვალეობებთან ერთად პირნათლად ასრულებს სხვა საზოგადოებრივ დავალებებსაც. იგი ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორია და მომხსენებელთა ჯგუფის წევრი.

ბ. ჩიკვაიძე

სურათზე: ა. ჩუთლაშვილი (მარჯვნივ) ატარებს მეცადინეობას.

ქართული ჭიდაობის სარბიელზე

ამას წინათ თბილისში გაიმართა დედაქალაქის 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. უნდა აღინიშნოს სასიხარულო ფაქტი, რომ სპორტის ამ სახეობის ერთგულ სპორტსაზოგადოებებს შეემატა კიდევ ერთი — „სპარტაკი“, რომელმაც საერთო ჩათვლაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს სამწუხარო ფაქტიც: უკანასკნელ დროს შეჯიბრებებს თავს არიდებენ ისეთი დიდი შესაძლებლობების მქონე საზოგადოებანი, როგორიცაა „შრომითი რეზერვები“, „ბურევესტნიკი“ და მთელი რიგი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები (მათთვის პარალელურად მიმდინარეობდა შეჯიბრება). ამ უკანასკნელთა შორის უნდა დავასახელოთ კიროვის სახელობის ქარხნის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სხვა კოლექტივები.

საინტერესო შეჯიბრების შედეგად თბილისის 1961 წლის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ჩ. ქუცნიაშვილი, ა. ყაჩმაზოვი, გ. სიმონიშვილი, ი. პეტრიაშვილი, ი. გუშარაშვილი (ყველა „დინამო“), ი. ცაბაძე („განთიადი“), გ. პეტრიაშვილი („სპარტაკი“), შ. ყიფიანი („ლოკომოტივი“).

გუნდურ ჩათვლაში კარგა ხნის ტრადიციას არ უღალატა „დინამოს“ ძლიერმა კოლექტივმა და მოიპოვა პირველი ადგილი. მეორეზე გამოვიდა „განთიადის“ გუნდი, რომელიც წარმოდგენილი იყო თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის სპორტსმენებით. აღსანიშნავია, რომ ამავე ქარხნის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა ძირეულ კოლექტივებს შორის.

ი. ტერუნაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ლ ე ლ ო
მე-2 გვ. № 18 (1654)

„დინამო“ (თბილისი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 91:78 (44:31) საკავშირო პირველობა, 7 თებერვალი, თბილისი.

ზედიზედ ორი დამარცხების შემდეგ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებს სჭირდებოდათ რეაბილიტაცია თავიანთ მრავალრიცხოვან გულშემატკივართა წინაშე. ამიტომ „დინამომ“ თამაში დაიწყო ისეთ თავბრუდამხვევ ტემპში, ისეთი აზარტითა და მონდომებით, რომ სტუმრები მთლიანად პარალიზებული აღმოჩნდნენ. მოსკოველთა მთავარი შემტევი ძალა—პეტროვი-კორნეევი დაცვითი ფუნქციების შესრულებასაც კი ვერ ახერხებდა წესიერად. ლეჟავა და მოსეშვილი, როგორც წესი, გამარჯვებული გამოდიოდნენ ბრკოლაში და მეთოდურად ზრდიდნენ ანგარიშს თავიანთი გუნდის სასარგებლოდ.

მე-11 წუთზე ანგარიშში სხვაობამ 10 ქულას მიაღწია. პეტროვს, მოსკოვის გუნდში ყველაზე მაღალ კალათბურთელს (207 სმ), ჯერ ქულაც არ ჰქონდა გაკეთებული და მწვრთნელმა იგი ბალაბანოვით შეცვალა, რომელმაც ოდნავ გამოასწორა თავისი გუნდის მდგომარეობა. უკეთ წავიდა მოსკოველთა საქმე მას შემდეგ, რაც მოედანზე გამოვიდა ნაუმცევი. უფრო ეფექტურად დაიწყო მოქმედება კორნეევმა, მაგრამ ინიციატივა კვლავინდებურად თბილისელთა მხარეს იყო. განსაკუთრებით ნაყოფიერად თამაშობდა მოსეშვილი, რომლის ნეიტრალიზება მოსკოველებმა მატჩის დამთავრებამდე ვერ შეძლეს. პირველი ნახევარი მასპინძლებმა მოიგეს 13 ქულით.

დაიწყო შეხვედრის მეორე ნახევარი და თბილისელთა ხუთეული კვლავ თავგამეტებით დაიძრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნისაკენ. სულ მალე 5 პერსონალური შეცდომის გამო მოედანი დასტოვა ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა პეტროვმა. ამან საბოლოოდ დასცა სტუმრების საბრძოლო სული. მხოლოდ კორნეევი იბრძოდა ძალისა და ენერგიის დაუზოგავად, მაგრამ იგი მარტო ვერას გახდა შეწყობილად მოქმედი ანსამბლის წინააღმდეგ. ანგარიშში განსხვავებამ 17 ქულას მიაღწია და თამაშმა ინტერესი თითქმის დაკარგა კიდეც. მაგრამ სწორედ ამ მომენტში იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა თბილისელმა კალათბურთელებმა შეანელეს ყურადღება, დაუშვეს ზედიზედ რამდენიმე შეცდომა და სხვაობაც 7 ქულამდე დავიდა.

თბილისის გუნდს მოგებული მატჩის ხელახლა მოგება დასჭირდა. სწორედ ამ მომენტში ბრწყინვალე თამაშით გამოიჩინა თავი მოსეშვილმა, რომელმაც 6 მეტად საჭირო ქულა მოუტანა გუნდს.

კვლავ დამარცხება

საქართველოს ჰოკეისტებს კალენდრის მიხედვით თავიანთი მორიგი მატჩები უნდა ჩაეტარებინათ ლიტვის გუნდთან, მაგრამ ვინაიდან ლიტველებმა უარი განაცხადეს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, საქართველოს გუნდი გაემგზავრა მინსკში, სადაც შეხვდა ბელორუსის ნაკრებს.

პირველი მატჩი ბელორუსიის ჰოკეისტებმა მოიგეს ანგარიშით 22:0.

მეორე ქულა



სურათზე: ლ. მოსეშვილი ნახტომში აგდებს ბურთს მოწინააღმდეგის კალათში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

აღსდგა ძალთა პირვანდელი შეფარდება და თამაშიც უკვე დასასრულს მიუახლოვდა. მაყურებლები ტოვებდნენ დარბაზს, როცა მოედანზე უცნაური სანახაობა დატრიალდა. თბილისის კალათბურთელებმა თითქოს განგებ, რამდენიმე გადაცემა ჩააბარეს მოწინააღმდეგეს ხელში. მოსკოველები გამოცოცხლდნენ, გააქტიურდნენ, მასპინძლები კი პირიქით, დაიბნენ. ყველას თვალწინ დაუდგა კიევის გუნდთან წაგებული მატჩის მწარე გაკვეთილი. მაგრამ საათის ისარი ულმობლად უახლოვდებოდა 20 წუთს, ანგარიშში სხვაობა კი საკმაოდ საგრძნობი იყო. თბილისის „დინამომ“ მოიგო მატჩი და გათამაშების ცხრილში მეორე ქულა ჩაიწერა. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ამ შეხვედრაში იყო ლ. მოსეშვილი, რომელმაც გუნდს 34 ქულა მოუტანა.

* * *

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი შეხვდა კიევის სკიფის კალათბურთელებს.

მატჩი, რომელიც აღინიშნა უკრაინელ სპორტსმენთა უპირატესობით, დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 102:88 (49:36).

ნ. გარიშვილი

XXII ჩემპიონატის მონაწილენი

15 თებერვალს თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყება საქართველოს საიუბილეო საჭადრაკო ჩემპიონატი. 16 თებერვალს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართება I ტური.

ჩემპიონატი დიდ ინტერესს იწვევს მასში ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი გროსმაისტერების დ. ბრონშტეინის (მოსკოვი), რ. ხოლმოვისა (ვილნიუსი) და საერთაშორისო ოსტატ ე. ვასიუკოვის (მოსკოვი) კონკურსგარეშე მონაწილეობის გამო.

საიუბილეო ჩემპიონატში ითამაშებენ რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკეები: სპორტის ოსტატები საქართველოს ჩემპიონი ბ. გურგენიძე, მ. შიშოვი, ა. ბლაგიძე, ა. ბუსლაევი, თბილისის 1961 წლის პირველობაში გამარჯვებული ოსტატობის კანდიდატები ა. იზვოზჩიკოვი, დ. ჯანოევი, თ. ლომაია, გ. კალატოზიშვილი, გ. გამრეკელი, პირველთანრიგოსნები გ. ეგიაშვილი, ი. ჩიქოვანი, ე. მიქაელიანი, საქართველოს ჩემპიონატის სტალინირისა და გურჯაანის ნახევარფინალებში გამარჯვებულნი, ოსტატობის კანდიდატები თ. გიორგაძე, რ. შეინცვიტი (ორივე თბილისიდან), ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი) და პირველთანრიგოსანი ჯ. ბერაძე (წყალტუბო).

ჩემპიონატში I-II ადგილებზე გამოსული მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის XXIX ჩემპიონატის ნახევარფინალში. საპრიზო ადგილებზე გამოსული ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები დაიშვებიან ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელიც ზაფხულში გაიმართება სოხუმში. ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდება საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი, რომელიც გაემგზავრება რუმინეთში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში მონაწილეობისათვის.

ვიდრე ფეხბურთის სეზონი დაიწყებოდეს

დ. ცომაია

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი

2 აპრილს იწყება 1961 წლის რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში. ახალი სეზონი ახალ ამოცანებს აყენებს საქართველოს ფეხბურთელთა წინაშე. წინაა მრავალი მეტად საინტერესო შეჯიბრება, საინტერესო სეზონი, რომელიც ჩვენი გუნდებისაგან მოითხოვს თამაშის კლასის ამაღლებას, მოითხოვს ოსტატობის შემდგომ სრულყოფას.

გასულ წელს საქართველოს პირველობაზე მონაწილეობდა 75 გუნდი, რომელთაგან 25 გამოდიოდა პირველ ჯგუფში. ამ დიდ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია ქუთაისის „იმერეთმა“ (მწვრთნელი ა. კილაძე), რომელმაც მოიპოვა ჩემპიონის სატიტო წოდება. აღსანიშნავია აგრეთვე ლანჩხუთის „გურიისა“ და ტყიბულის „მეშახტის“ კარგი თამაში. ე. წ. „მეორე ეშელონის“ გუნდებიდან კარგი მომზადება აჩვენეს გეგეჭკორის „სალხინომ“, ქუთაისის „რიონმა“, ყვარლის „დურუჯმა“, ადიგენის „მექანიზატორმა“, რომლებმაც ზონებში დაიკავეს პირველი ადგილები და მოიპოვეს პირველ ჯგუფში თამაშის უფლება.

აღსანიშნავია თბილისის გუნდების წარუმატებლობა. რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონმა „სინათლემ“ დაიკავა მხოლოდ IV ადგილი, ხოლო II ჯგუფის გუნდებიდან არც ერთს არ უჩვენებია რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი თამაში. ეტყობა, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფიზკულტურულ კოლექტივებში სათანადო დონეზე არ დგას სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, ხოლო ფეხბურთის სექცია შეაფერხა ვერ უწევდა კონტროლს ქალაქის გუნდების მზადებას რესპუბლიკური შეჯიბრებისათვის. ცუდად ჩაატარეს სეზონი აგრეთვე ქუთაისის „დინამომ“, თელავის „კოლმეურნემ“, კასპის „განთიადმა“, ჩხოროწყუს „ნაკადულმა“, ჩოხატაურის „სპარტაკმა“ და სხვა გუნდებმა.

ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდების კლასის შემდგომი ზრდა, მათი წარმატებები დიდ ასპარეზზე მჭიდროდაა დამოკიდებული მასობრიობაზე, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის წარმოებაზე, ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის სწორად წარმართვაზე და უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი გუნდების უმრავლესობაში ცუდადაა ორგანიზებული სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა, არ წარმოებს სისტემატური სრულწლიანი მუშაობა, არასახარბიელოდ დგას აგრეთვე შეჯიბრებათა ორგანიზაციის საქმე. მაგალითად, ისეთ დიდ ცენტრებში, როგორებიცაა თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ფოთი, რუსთავი, გორი, ჭიათურა, სტალინირი და სხვ. გათამაშება არ ტარდება საკლუბო სისტემით, მცირე რაოდენობით ეწყობა შეჯიბრებები მოზარდთათვის. მაგალითად, თბილისში სცადეს გათამაშების ჩატარება საკლუბო სისტემით, მაგრამ ფიზკულტურულ ორგანიზაციათა უმრავლესობისათვის იგი მძიმე გამოდგა და ამის გამო მონაწილეთა რაოდენობაც ერთობ მცირე იყო. ცხადია, როგორც გათამაშების დებულება, ისე კალენდარი უნდა შედგეს მოფქრებულად, ადგილობრივ შესაძლებლობათა და პირობების სრული გათვალისწინებით.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმ მდგომარეობას, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ფეხბურთმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა შესაფერისი გავრცელება, რომ სპორტის ამ სახეობას სათანადო ყურადღება აქ არ ექცევა. თბილისში მაგალითად, რეგულარულად უნდა ეწყობოდეს სტუდენტთა საგაზაფხულო და საშემოდგომო პირველობები, როცა სტუდენტები ადგილზე არიან, საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა თამაშებში.

ბავშვთა საფეხბურთო სკოლების მოსწავლეები თავიანთი სწავლების პერიოდში ვერ ასწრებენ ნამდვილი, საბოლოო სპორტული კვალიფიკაციის მიღებას, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის შემდეგ საერთოდ ანებებენ თავს ფეხბურთს ისე, რომ მათს შორის იკარგება ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი. ყველაფერ ამას გარდა, უმაღლეს სასწავლებლებში მწვრთნელებად მუშაობენ ისეთები, რომლებსაც არა აქვთ საჭირო მომზადება და არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ ამ რთულ სამუშაოს.

საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი ჩვენი რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებისათვის შესაფერისი რეზერვების აღზრდის საკითხს. ეს ამოცანა ძირითადად აწევთ ქალაქებსა და რაიონებში მომუშავე მწვრთნელებს, მაგრამ ისინი ამ დიდმნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საკითხის მოგვარებას ამჯობინებენ ზრუნვას ქულების მოგროვებასა და გათამაშებაში ადგილის დაკავებაზე. თვითეულ მწვრთნელს საჭიროა კარგად ახსოვდეს, რომ მათი მოღვაწეობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდა ტალანტების აღზრდა, რომ მათი მუშაობის ძირითად არსს წარმოადგენს არა ბრძოლა ქულებისათვის, არამედ ზრუნვა დიდი ფეხბურთის რეზერვების აღზრდისათვის.

საქართველოს საფეხბურთო სკოლებსა და გუნდებში მუშაობს დაახლოებით ასი ფასიანი მწვრთნელი, მათ შორის წარსულში ცნობილი ფეხბურთელები გ. გაგუა, გ. ანთაძე, მ. მინაევი, ნ. ძიაშარა, ვ. ჯორბენაძე, ვ. ელოშვილი, მ. ჯოჯუა, ა. ნორაკიძე და მრავალი სხვა. ფეხბურთის მოყვარულებს სრული უფლება აქვთ მოთხოვონ მათ ახალი კადრების აღზრდა ჩვენი უძლიერესი გუნდებისათვის.

ჩვენს სინამდვილეში ხშირად ხდება ასე: ესა თუ ის მწვრთნელი მიემგზავრება სამუშაოდ რომელიმე ქალაქში და თავის საქმიანობას იწყებს იმით, რომ გუნდში იწვევს ან ოსტატთა კოლექტივებიდან წასულ დიდასაკოვან ფეხბურთელებს ან უპერსპექტივო მოთამაშეებს თბილისიდან, რის შედეგადაც ამ გუნდში ადგილი აღარ რჩება ადგილობრივი ახალგაზრდობისათვის. მწვრთნელი ამ დროს დაინტერესებულია მხოლოდ დღევანდელი ქულებით და არა ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღით. რა თქმა უნდა, გაცილებით ძნელია ადგილებზე ნიჭიერი ბავშვების ძებნა და შერჩევა, მათთვის საგანგებო შეჯიბრებათა მოწყობა, ბავშვებთან სისტემატური მუშაობა იმ მიზნით, რომ ფეხბურთს მიეცეს ჭეშმარიტად მასობრივი ხასიათი და ამ მასებიდან შემდგომში აღვზარდოთ ტყავის ბურთის გამოჩენილი ოსტატები.

ფეხბურთში ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლი ის არის, რომ ჩვენ სრული პასუხისმგებლობით არ ვფქრობთ ხვალინდელ დღეზე, ხოლო როცა ლაპარაკია ხვალინდელ ფეხბურთზე, ეს პირველ ყოვლისა, ეხება ახალგაზრდობას.

პრესის ფურცლებზე არაერთხელ დასმულა საკითხი ფეხბურთის მდგომარეობის შესახებ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, ხოლო საქმე ჯერჯერობით ერთობ ნელი ტემპით მიიწევს წინ. სკოლების მოსწავლეებს არა აქვთ სათამაშო მოედნები (ლაპარაკია არა დიდი ზომის საფეხბურთო მინდვრებზე, არამედ მცირე ზომის მოედნებზე — 15×30 მ, 20×40 მ), სადაც ბავშვებს შეეძლებათ თავისუფალ დროს შეუფერხებლად ითამაშონ ბურთი. განა ვინმეესთვის საიდუმლოებაა ის ფაქტი, რომ ბევრმა ჩვენმა გამოჩენილმა ოსტატმა პირველად თამაში სწორედ ასეთ მოედნებზე დაიწყო?

შეიძლება გვითხრან, რომ ბავშვთა შორის მუშაობის საქმე ჩვენში არც თუ ისე ცუდად დგას, ვინაიდან ჩვენში არის რამდენიმე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა, აგრეთვე გუნდები ოსტატთა კოლექტივებთან, მაგრამ თუ ღრმად ჩავიხედავთ ამ საქმეში, დავრწმუნდებით, რომ 2000-მდე ბავშვი, რომლებიც გაერთიანებულნ არიან ამ გუნდებში, არავითარ შემთხვევაში არაა საკმარისი დიდი რეზერვების აღსაზრდელად. ფეხბურთს უნდა თამაშობდეს ათეული ათასობით ბავშვი, რომ შესაძლებელი იქნას შესაფერისი კონტინგენტის შერჩევა. ზაფხულის პერიოდში საჭიროა ფეხბურთელ ბავშვთა გაგზავნა ბანაკებში, სადაც ეს თამაში უნდა იქცეს გამაჯანსაღებელი მუშაობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 18 (1654)

ჩემპიონები, გოლები, ქულები

მეტად საინტერესო გამოდგა 1960 წლის საფეხბურთო სეზონი ევროპაში. ამ ცხრილში იხილავთ ბონაცემებს ეროვნული ჩემპიონატებისა და თასის გათამაშების შესახებ ევროპის ქვეყნებში

ქვეყანა	გუნდების რაოდენობა	რამდენი გოლი გავიდა	გოლის პროცენტი მატჩზე	ჩემპიონი	ქულათა რაოდენობა	ბურთების შეფარდება	თასის მფლობელი
ინგლისი	22	1.618	3.50	„ბერნლეი“	55	85:61	„ვულვერჰემპტონ უონდერერსი“
ავსტრია	14	782	4,29	„რაპიდი“	42	87:32	„აუსტრია“
საფრანგეთი	20	1.277	3,36	„რეიმსი“	60	109.46	„მონაკო“
გფრ	75	4.111	3,57	„ჰამბურგერ შპორტფეროინი“	56	121:51	„ბორუსია“
ესპანეთი	16	105	3,35	„ბარსელონა“	46	86:28	„ატლეტიკო“ (მადრიდი)
უნგრეთი	14	328	2,90	„დოჟა“ (უიპეშტი)	40	52:26	—
იტალია	18	792	2,58	„იუვენტუსი“	55	92:33	—
იუგოსლავია	12	408	3,09	„ცრვენა ზვეზდა“	33	47:25	„დინამო“ (ზაგრები)
შვეიცია	12	498	3,77	„ნორჩებინგი“	38	76:26	—
ბელგია	16	753	3,13	„ლორის“	38	57:40	—
ბულგარეთი	12	338	2,58	ცდნა	32	42:18	„სეპტემბერი“
ჩეხოსლოვაკია	14	513	2,81	„სპარტაკი“	34	43:27	—
დანია	12	461	3,49	„არჰუსი“	32	52:32	—
ჰოლანდია	18	1.137	3,70	„აიაქსი“	55	114:45	„ვენლო“
გდრ	14	590	3,24	„ფორვერტსი“	44	73:28	„მოტორი“
ნორვეგია	16	399	3,53	„ფრიდრიკსტადი“	25	47:18	„როზენბორგი“
პოლონეთი	12	419	3,17	„რუხი“	30	41:29	—
რუმინეთი	12	399	3,02	კკა	34	52:25	„პროგრესული“
შვეიცარია	14	726	3,98	„იანგ ბოისი“	42	86:44	„ლუცერნი“
საბჭოთა კავშირი	22	888	2,75	„ტორპედო“ (მ)	45	56:25	„ტორპედო“ (მ)

უცხოეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ცენტრალური ევროპის თასის გათამაშება. ამ შეჯიბრების ორგკომიტეტმა გადწყვიტა თასი მომავალში ჩაატარეს ახალი სისტემით. ყოველი მონაწილე ქვეყანა გამოიყვანს 4 საკლუბო გუნდს, რომლებიც ერთმანეთს შორის ითამაშებენ წრიული სისტემით.

პირველ გათამაშებაში მონაწილეობს 8 ქვეყანა. ეს გუნდები დაიყვნენ შემდეგნაირად:

I ჯგუფი — იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, **გდრ**, ავსტრია.

II ჯგუფი — შვეიცარია, შვეცია, **გფრ**, ჰოლანდია.

თამაშები ქვეჯგუფებში დაიწყება ივნისში, ხოლო ფინალური მატჩები დამთავრდება ნოემბერში.

• • •

შედგა ინგლისის თასის IV ტურის მატჩები.

ყურადღების ცენტრში იყო გათამაშების ფავორიტების „შეფილდ უენსდეისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრა. დაძაბული მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. აღსანიშნავია „ვულვერჰემპტონ უონდერერსის“ გამარჯვება „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ შეხვედრაში — 4:2.

სხვა მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ პირველი და მეორე ლიგის გუნდები. ყველა მატჩი დამთავრდა პირველი ლიგის გუნდების გამარჯვებით.

რედაქტორი ი. უგულავა.

შრომასა და სპორტში

თ. შელეგიამ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოწინავე სტუდენტმა და კომკავშირელმა, ინჟინრის პროფესიასთან ერთად სპორტის დიდი სიყვარული შეიძინა უმაღლესი სასწავლებლის კედლებში. იგი მოთხილამურე გახდა. სწორედ ეს ორი მასწრაფება — მშენებელი ინჟინრის საპატიო შრომისა და სამთო-სათხილამურო სპორტისაკენ — შეურწყო მან ერთმანეთს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როცა შეიტყო, რომ ბაკურიანში მალე დაიწყებოდა დიდ სპორტულ ნაგებობათა კომპლექსის მშენებლობა. 1960 წელს იგი საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მივიდა თხოვნით — გაეგზავნათ ამ კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის — სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის მშენებლობაზე.

თ. შელეგიას კომკავშირული საგზური მიეცა და მალე ახალგაზრდა ინჟინერი მთელის არსებით მიეცა საყვარელ საქმეს როგორც შრომაში, ისე სპორტშიც. იგი ბაკურიანში გამართულ თითქმის არცერთ შეჯიბრებას არ გამოკლებია. ახლახანს აქ ჩატარებულ სამთო-მოთხილამურეთა რესპუბლიკურ პირველობაზე იგი კონკურსგარეშე მონაწილეობდა და აჩვენა საკმაოდ კარგი შედეგი სპეციალურ სლალომში.

• • •

სურათზე თქვენ ხედავთ თ. შელეგიას სპეციალური სლალომის ტრასაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლექტორთა ფორიკ

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საჭადრაკო პირველობამ 24 პროფესორ-მასწავლებელი მიიზიდა.

ინსტიტუტის ჩემპიონის სახელი მოიპოვა მექანიზმებისა და მანქანათა თეორიის კათედრის უფროსმა ლაბორანტმა ბ. ფარცხალაძემ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს წარმატება არ არის ტურნირის მონაწილეთა სუსტი თამაშის შედეგი, არამედ გამარჯვებულმა გამოავლინა გაზრდილი ბრძოლისუნარიანობა. მეორე ადგილი წილად ხვდა ხიდებისა და ლითონების კონსტრუქციების კათედრის ლაბორანტს ა. პავლიაშვილს, რომელიც ჩემპიონს 1,5 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გავიდა ა. ღონღაძე — 6 ქულა.

ა. ფერეთელი

16 თებერვალი — 17 მარტი

რუსთაველის სახ. საკონცერტო დარბაზი

საქართველოს XXII საჭადრაკო ჩემპიონატი

დიდი საერთაშორისო გამოკითხვა

ცნობილმა გერმანულმა ჟურნალმა „ფუსბალ-ვოჩემ“ ფეხბურთში 1962 წლის ჩემპიონატთან დაკავშირებით ევროპის ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელებს მისცა სამი შეკითხვა:

1. დაასახელეთ გასული სეზონის 10 უძლიერესი ეროვნული ნაკრები ევროპაში?

2. რომელი გუნდები მოიპოვებენ ჩილში გამგზავრების უფლებას ევროპიდან?

3. როგორია თქვენი გეგმები 1961 წელს?

ამ შეკითხვებს გამოეხმაურნენ შემდეგი მწვრთნელები.

უოლტერ უინტერბოტომი

(ინგლისი)

1. მოტევებას მოვითხოვ, მაგრამ ვერ წარმოვადგენ უძლიერესი ქვეყნების ცხრილს. 1960 წელს არ ჩატარებულა სათანადო შეჯიბრებები, რომლითაც შეგვეძლო გვეხელმძღვანელა გუნდების დაყოფისას ძალის მიხედვით. მაგრამ არიან ნაკრებები, რომელთა წინსვლა უდავოა. მე დავასახელებ საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიის, ესპანეთისა და უნგრეთის გუნდებს. გთხოვთ ნება დამრთოთ ზემოთ ჩამოთვლილ გუნდებს ინგლისის ნაკრებიც შეუერთოთ.

ინგლისის ნაკრებს დაეტყო ახალი აღმავლობა. ჩვენ ძალზე სერიოზულად, ბევრი უნდა ვიმუშაოთ ახალგაზრდა ფეხბურთელებთან, რომლებიც ჩვენი ნაკრების ბირთვი არიან. შეიძლება ახლავე ითქვას, რომ ეს მუშაობა ნაყოფს გამოიღებს. მე ჟურნალისტები შემეკითხნენ რომელი ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ ინგლისს მსოფლიოში. ჩემი პასუხი ასეთი იქნება: ინგლისს უნდა მივაკუთვნოთ ადგილი ექვსი-რვა უძლიერესი ნაკრების შემდეგ. ჩვენ შეგვეძლო თვალსაჩინო როლი გვითამაშა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში, მაგრამ უბედური შემთხვევის გამო დავკარგეთ სამი საუცხოო მოთამაშე.

2. ევროპიდან ჩილში უნდა გაემგზავრონ: შვედები, ბულგარელები ან ფრანგები (ფონტენის გარეშე ფრანგებს ძალზე გაუჭირდებათ), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, უნგრელები, საბჭოთა ფეხბურთელები, ინგლისი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ესპანეთი ან უელსი, იუგოსლავია.

3. გასული წლის სეზონი ამინდის თვალსაზრისით ჩვენთვის არ იყო სახარბიელო. გაუთავებელმა წვიმამ გააძნელა კალენდარული მატჩებისა და საწვრთნელი ვარჯიშის ჩატარება. ამჯერად ჩვენ ვისურვებდით უკეთესი ამინდის და მოთამაშეებთან ხელშეკრულების დადების საკითხის მოგვარებას.

ხვალ!

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი

საკავშირო პირველობა

ფრენბურთი

ქალები

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)

დასაწყისი 14 საათზე.

კალათბურთი

ვაჟები

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)

დასაწყისი 19 საათზე.

11 თებერვალი

ფრენბურთი

ვაჟები

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — სკიფი (ბაქო)

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.